

**სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“  
პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. აღნიშნული წესი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-121 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ №99/ნ ბრძანების მე-8 მუხლის „გ“ პუნქტისა და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ შინაგანაწესის 22-ე მუხლის შესაბამისად.
2. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებითა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულური პროგრამების) სწავლებისათვის პროფესიული მასწავლებლის შერჩევისა და მიღების წესი მიზნად ისახავს კვალიფიციური, სათანადო ცოდნისა და გამოცდილების, შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე პირების შერჩევას.
3. სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებსა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებელი**

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შესაძლებელია შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგინდეს დამატებითი მოთხოვნები.

**მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების წესი**

1. კოლეჯის ვებ-გვერდზე/ოფიციალურ სოციალურ გვერდზე ან/და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით ქვეყნდება პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, სტანდარტის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარსადგენი დოკუმენტაცია და პირობები.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღება ხორციელდება წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, როდესაც კოლეჯის დირექტორის მიერ ხარისხის მენეჯერთან ერთად გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების საფუძველზე დგინდება პროფესიული განათლების მასწავლებლობის მსურველი პირის კვალიფიკაციის შესაბამისობა „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან (ხარისხის მართვის მენეჯერი წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლობის მსურველი პირის კვალიფიკაციის შესაბამისობას „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და პროფესიული სტანდარტის შესაბამის მოთხოვნებთან).
3. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება შესაბამისი დარგობრივი პროფილით მუშაობის სტაჟს და გამოცდილებას.

**მუხლი 4. კონკურსით მიღების წესი**

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის შესარჩევად შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონკურსით შერჩევის წესი.
2. კანდიდატის კონკურსის წესით შერჩევისას კოლეჯი ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად.
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის მისაღებად, ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ბრძანებაში განისაზღვრება:
  - ა) კონკურსანტების მიერ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;
  - ბ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა და ადგილი;
  - გ) კონკურსის შედეგების გამოცხადების ვადები.
4. კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით, დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისია შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და/ან კომისიის წევრისაგან.
5. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
6. კომისია მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტა კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. საკონკურსო კომისიის მიერ, დოკუმენტების განხილვის საფუძველზე დგება საკონკურსო კომისიის სხდომის ამსახველი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაუროთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.
8. კონკურსანტების მიერ კონკურსის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პირთაგან ვინ შეიძლება გახდეს დაწესებულების პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით და წარედგინება კოლეჯის დირექტორს შემდეგი რეაგირებისათვის.

**მუხლი 5. შრომითი ხელშეკრულების გაფორმება**

1. ამ წესის მესამე მუხლით გათვალისწინებული გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმების შედეგების ან/და კონკურსის შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიაზე შესაბამისად შერჩეულ პირთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება, გამოსაცემელი ვადით ან მის გარეშე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. კოლეჯში მიღებულ დასაკმებულზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად ინახება შინაგანაწესის 22-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.